წ. I 1915 წ. — კვირა 3 მაისი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. დირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 71 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 71


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.


ეროვნული ბიბლიოთეკა


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი·შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

---

ნინო გრიგოლის ასული, დავით (იგივე თემუხარ) გრიგოლის ძე, გრიგოლ და ივანე, მართა და მელიტონ აბაშიძენი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი შვილისა, მეორენი ძმის და დანარჩენი ძმისწულის და მაზლისწულის ქუთ. ქარ. გიმნაზიის მეოთხე კლასის მოსწავლის

**ალექსანდრე (იგივე სანდრო) დავითის ძის**
**ა ბ ა შ ი ძ ი ს ა ს.**

პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, საღამოს 6 საათზე. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება კვირას, 3 მაისს, ივანოვის ქ., ხარიტონ ფიჩულის სახლიდან, ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. 2—2—194

---

უღრმესად მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ნიკიფორე მოსეს ძე და მატრონა მიხეილის ასული ჯანელიძეები ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 3-ს ამა მაისს, დღით კვირას, დილის 11 საათზე, გადახდილი იქნება საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში, ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი, უსაყვარლესი ჩვენი ტრაღიკულად მოკლული შვილის

**ვ ა ს ი კ ო ს**

სულის მოსახსენებლად. 2—2—196

---

მწუხარებასა შინა მყოფნი კნეინა სერგისა დადიანისა ლორთქიფანიძის ასული და შვილები მისი თავადი ვლადიმერ და კნიაჟნა ნინა (დოსია) დადიანი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი შვილისას ხოლო მეორენი საყვარელი ძმის

**გრიგოლ მალაქიას ძის დადიანისას,**

რომლის უკანასკნელი გამოსალმების დრო დანიშნულია ამა მაისის 5 რიცხვს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, ბაღის ქუჩაზე, ბეგლარ გაბუნიას სახლში. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე.

კერძო წერილები არ დარიგდება. 1—1—197

---

ალექსი ივანეს ძე, დავით ივანეს ძე, სოფიო, მარიამ, ფეოდოსია, ანა და მარგარიტა ივანეს ასულნი მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გერმანიის საზღვარზე ბრძოლაში მოჰკლეს მათი ძვირფასი ძმა

**კაპიტანი პეტრე ივანეს ძე მაჭავარიანი.**

პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს, 3 მაისს, მთავარანგელოზის ეკლესიაში შუადღის 12 საათზე

1—1

---

ქუთაისის თეატრი.

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ კვირას, 3 მაისს, წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია

**I. დ ა მ თ ხ ვ ე უ ლ ი ღ ე ნ ე რ ა ლ ი**

3 მოქ. ვ. გუნიასი.

**II. რ უ კ ი ვ ვ ე რ ხ!**

სანახაობა 1 მოქ. ვასო ურუშაძისა. მონაწილეობს მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.** ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

---

დაიბეჭდა და იყიდება ა. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

**„НОВОЕ СЛОВО“**

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი უდით 2 აბაზი.

---

**ქუთაისის ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობა**

აუწყებს საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს **7 მაისს** საღამოს 8 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

## წლიური კრება

ამ საზოგადოების წევრთა. განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება წარსული წლის ანგარიშისა.
2) „ „ მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვისა.
3) არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა და 2 კანდიდატისა ამ უკანასკნელთათვის.

---

## ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო მიხეილის ბანკისა

ქუთაისში, ბანკის დებულების 89-ე პარაგრაფის თანახმათ, ს ა უ ო ვ ე ლ თ ა ო დ ა ც ხ ა დ ე ბ ს, რომ ბანკის რწმუნებულთა მ ო რ ი გ ი ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი კ რ ე ბ ა დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა ქ ა ლ ა ქ ქ უ თ ა ი ს შ ი ბ ა ნ კ ი ს შ ე ნ ო ბ ა შ ი, 1915 წლის 17 მ ა ი ს ს, დილის 10 საათზე. კრება, 89-ე პარაგრაფის შენიშვნის თანახმათ, კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ იმისა, თუ კრებაზე რამდენი რწმუნებული დაესწრება. რწმუნებულთა კრებაზე გასარჩევია შემდეგი საქმეები:

1) 1914 წლის ანგარიში ზედამხედველი კომიტეტის, გამგეობისა და დამფასებელი კომისიის მოხსენებებით;
2) გამგეობის მოხსენება 1914 წლის ბანკის მოგების განაწილების შესახებ;
3) ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში;
4) გამგეობის მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების გამო;
5) გამგეობის მოხსენება ბანკის დებულების ზოგიერთი პარაგრაფის შეცვლისა და შევსების შესახებ;
6) 1915 წლის ხარჯთაღრიცხვა და
7) გამგეობის წევრის ერთი კანდიდატის არჩევა.

---

**ექიმი** ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

**ექიმი** გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**კაბინეთი** მასსაჟის და საექიმო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა მ. ტ. ბალანჩივაძისა ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი ოროთქლის ვანა, რომელიც სპობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. აგრეთვე ვუცრი ყვავილს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

---

კბილის ექიმები

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

დ. ყვირილაში.

**სტუდენტი ვარლამ ფერაძე**

(9 წ. პრაქტიკით) პირველ მაისიდან **ვამზადებ** მოწაფეებს, ქალებს და ვაჟებს, ყველა საგნებში დაბალ და საშუალო სასწავლებლების კლასებისათვის. აგრეთვე სიმწ. მოწმ. აფთიაქის მოწაფეებს, მასწავლებლებს, 1 კლ. ჩინზე და სხ.

**მისამართი:** ყვირილა, პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ახლოს, დათა ყუბარაძის სახლი. 14—4—187

---

**გამოცდილი რუსი ქალი მასწავლებელი**

სპეციალისტი **რუსულისა** და **მათემატიკის** საგნებში ამზადებს ეგზამენებისთვის და ხელმეორე გამოცდებისთვის მოსწავლე ქალებს და ვაჟებს ყველა კლასისთვის. მისამართი: ივანოვის ქუჩა, გაბუნიას სახლი. 4—1

---

# ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი.** 1 მაისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ოლთისის გზით ჩვენმა ჯარმა დაიკავა ყაზილდახის მაღლობი. აქედან ოსმალოები სამხრეთ-დასავლეთით განდევნა დუტახის გზით, ჩვენ დუტახის სამხრეთით წინ წავიწიეთ. ცხენოსანთა რაზმი მივიდა პატნოსთან. აქ კურდებთან შეტაკება მოუხდათ. ვანის გზით ჩვენმა ჯარმა მტერი განდევნა აბაოის ხეობიდან.

მწარე ხვედრით გულდამწვარი, მშობლები: თ. დიმიტრი სიმონის ძე წერეთელი, მეუღლე მისი კნ. გოგოლია მიქელაძის ასული წერეთლისა, შვილები: სამსონ დიმიტრის ძე და ნელი დიმიტრის ასული; ბიძა-ძმისწული: თ-ნი შალვა სიმონის და ანდრო გრიგოლის ძენი წერეთლები; ბიცოლები: კნ. ელენე ანდროსა და მარო კაციას ასულნი წერეთლისანი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ (პორუჩიკის)

## სიმონ (იგივე სოსიკო) დიმიტრის ძის წერეთლის

ომში ტრაღიკულად დაღუპვას. პანაშვიდი დანიშნულია ყოველდღე, საღამოს ოთხ საათზე საჩხერის საკრებულო ტაძარში.

დანარჩენ ადგილებზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი.** 1 მაისი. მთავარსარდლის შტაბისაგან. შავლის რაიონში ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოთ ვითარდება. დღის განმავლობაში აქ 1000 კაცზე მეტი ტყვეთ წამოვიყვანეთ; წამოვიღეთ 9 ტყვიისმტყორცნელი.

კარპატებში ბრძოლები შენელდა. ჩვენი ჯარი თანდათან მდინარე სანისკენ იხევს, უფრო მოხერხებული ადგილის დასაჭერათ. 28 აპრილს ავსტრიის ჯარმა გასწმინდა გამაგრებული ადგილი ბისტრეციდან რუმინიას საზღვრამდე 140 ვერსის მანძილზე, აქ მან მდ. პრუტის იქით უკან დაიხია. მტრის ცხენოსანთა რაზმი უკან დახევის დროს ჩვენმა ცეცხლმა გაფანტა. ჩვენმა კავალერიის დივიზიებმა რამდენიმე ადგილას გაარღვია მტრის ფრონტი და ხელი შეუშალა მტრის წესიერათ უკან დახევას. ჩვენ მტერს უკან ვდევნით, ტყვეთა რიცხვი ჩქარა იზრდება.

**პარიზი.** 30 აპრილი. არასის ჩრდილოეთით ჩვენ ბრწყინვალე შედეგს მივაღწიეთ. ნოტრდამდელორეტთან ჩვენ დავიკავეთ ნიში. ნიშის სამხრეთით მტერმა სასტიკი იერიში მოიტანა. მოხდა საშინელი სისხლის ღვრა მთელი ღამის განმავლობაში. ჩვენ დავიჭირეთ მთელი სოფ. კარანსი.

### ინგლისის ჯარის მოქმედება.

**ლონდონი.** 1 მაისი. ფრენჩი იუწყება, რომ იპრის აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება. 30 აპრილს მენის გზის ჩრდილოეთით იერიშის დროს ჩვენი სანგრები დაინგრა და იძულებული გავხდით ხაზი გაგვესწორებინა. ახლა ხაზი უკვე აღდგენილია.

**პარიზი.** 1 მაისი. გამუდმებითი წვიმა ხელს გვიშლიდა მოქმედების დროს. ჩვენ ავიღეთ რამდენიმე სანგარი სუშეს სამხრეთ დასავლეთით. ჩვენ შევინარჩუნეთ ყველა პოზიციები. მდ. ენის ხეობაში მოვსპეთ გერმანელთა ოთხი ბლოკჰაუზი, (ავიღეთ?) რამდენიმე სანგარი.

### ზ ღ ვ ა ზ ე.

**პეტროგრადი.** გერმანულ-ოსმალოთა ცნობით თითქოს ბოსფორის იერიშის დროს ჩვენი ფლოტი უკუქცეულიყოს და „გებენს“ დაეზიანებიოს ჩვენი მოწინავე გემი, სიცრუეა. ბრძოლის დროს „გებენმა“ გაისროლა ორასზე მეტი ყუმბარა. არც ერთი ჩვენ გემებს არ მოხვედრია. „გებენი“ ბოსფორში გაბრუნდა. ავტორიტეტიულ წრეებში ირწმუნებიან, რომ ბალტიის ფლოტის წყალქვეშა ნავებმა უკან დაბრუნების დროს ცნობა მიუტანეს ინგლისის წყალქვეშა ნავს. ამ ნავმა ლიბავის მახლობლათ ჩასძირა მტრის ტრანსპორტი.

### სოფ. კარანსის აღება.

**პარიზი.** 1 მაისი. ღამით ბელგიის ჯარზე ისევ მიიტანეს გერმანელებმა იერიში იზერის მარჯვენა ნაპირზე. ბელგიელებმა იერიში მოიგერიეს. მტერმა რამდენიმე ასი მოკლული დასტოვა. არასის ჩრდილოეთით ჩვენ საგრძნობი და სახეირო შედეგით ვმოქმედებდით. სოფ. კარანსში ჩვენ მრავალი სამხედრო სურსათი ვიხელთეთ, ჯერ დავითვალეთ ორი 77 მილ. ყალიბის ზარბაზანი, ერთი 105 მილ. ყალიბის ჰაუბიცა, ორი 21 მილ. ყალიბის მორტირა, თორმეტამდე ყუმბარის მტყორცნელი, მრავალი ტყვიისმტყორცნელი, 3000 თოფი. 125 მეტ. სიმაღლესთან ჩვენ ვნახეთ გერმანელთა სამი როტის გვამები. ნაშუადღევს მტერმა უშედეგოთ მოიტანა იერიში კარანსზე, ჩვენ წინ წავიწიეთ ჩრდილოეთით, დავიკავეთ ბლუქე და ნაზერი, უკანასკნელი გარდა რამდენიმე სახლისა სულ ჩვენ ხელშია. ბრძოლა ისევ გრძელდება, ტყვეთ წამოვიყვანეთ რამდენიმე ასეული. უკან დახევის დროს მტერმა სოფელი გადასწვა. ნევილ-სენვაასტთან ჩვენ დავიკავეთ მტრის სანგრების რიგი; ჩვენ ვიხელთეთ 17-მდე ჰაუბიცი. არგონებში, ბაგატელთან, ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ორი იერიში. ლეპრეტრის ტყეში ჩვენ დავიკავეთ გერმანელთა უკანასკნელი სიმაგრე. ამ რიგათ ამ ტყეში ახლა მთელი პოზიცია ჩვენ ხელთაა. 125 მეტრის სიმაღლესთან ტყვეთ წამოვიყვანეთ 1500 კაცი, მათ შორის 30 აფიცერი, პოლკოვნიკი და კომანდერი. სუშესთან მტერმა იერიში მოიტანა, რომელიც მოვიგერიეთ.

### გერმანიის წყალქვეშა ნავის ჩაძირვა.

**ლონდონი.** 1 მაისი. ბლიტიდან იუწყებიან, რომ გემმა „ობლერნმა“ ჩრდილო ზღვაში ჩასძირა გერმანიის წყალქვეშა ნავი.

### ბელგიის ჯარის მოქმედება.

**ჰავრი.** 29 აპრილი. ბელგიის შტაბის ცნობა. 29 აპრილს, მტერმა იერიში მოიტანა იზერთან, ჩვენი ჯარი მზათ დახვდა. მტერი უკუაგდეს და ტყვეები წამოიყვანეს. 300-მდე მოკლული დასთვალეს.

### დარდანელი.

### ინგლისის ჯავშნოსანის დაღუპვა.

**ლონდონი.** 30 აპრილი. თემთა პალატაში ჩერჩილი ამბობს, რომ ჯავშნოსანი „გოლიათი“ დარდანელში ნაღმმა ჩასძირა. დაიღუპა 500 კაცი. ამას გარდა ჩერჩილმა სთქვა, რომ წყალქვეშა ნავი у 4 გავიდა მარმარილოს ზღვაში და იქ ოსმალოთა ორი კანონერის გემი ჩასძირა.

### ფორტების დაზიანება.

**სოლუნი.** 30 აპრილი. მიტილენიდან იუწყებიან, რომ იერიშები გრძელდება. დაზიანდენ ფორტები კილიდბახრი, სულთანიე და ნაგარა. მიდიტოს რაიონში ოსმალოთ მაშველი ჯარი მოუვიდათ. მოკავშირენი „კვინ ელისაბედის“ დახმარებით წინ მიიწევენ და სედილბახრიდან 8 კილომეტრით წინ წაიწიეს.

**ათინა.** 30 აპრილი. სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, რომ მოკავშირეებმა ბრძოლის შემდეგ დაიჭირეს მაღლობი, რომელიც ბატონობს გარშემო ადგილებზე და ამის გამო სტრატეგიულ ადგილათ ითვლება. ოსმალოთა არმიის შტაბი გალიპოლიდან როდოსტოში გადიტანეს.

### გერმანიის მთავრობის გაფრთხილება.

**ვაშინგტონი.** 30 აპ. გერმანიის საელჩო გაზეთში გამოქვეყნებული წერილით აფრთხილებს ამერიკელებს მეომარ სახელმწიფოთა გემებით ზღვით ნუ იმოგზაურებენ.

### ბელგიის დარბევა.

**სტოკჰოლმი.** 30 აპ. ამსტერდამის გაზეთ „ტელეგრაფ“-ის ცნობით, გერმანელები ისევ შეუდგენ რეკვიზიციას. ბელგიაში რეკვიზიცია უყვეს შერიასა და კარტოფილს. ლიმბურგში რეკვიზიცია უყვეს ცხენებსა და ველოსიპედებს. პატრონებს ფული არ მიუღიათ. ატუსაღებენ მრავალ ისეთებს, რომელთა ნათესავები ბელგიის მოქმედ ჯარში ირიცხებიან. ზოგრგან გამოსცეს უცნაური განკარგულება: მოქალაქეებმა თავი უნდა დაუკრან გერმანელთა სამხედრო პირებს.

### კოლონიებში.

**ვინჯუკი.** 30 აპ. გერმანელებმა ჩრდილოეთისკენ დაიხიეს. ქალაქათ აირჩიეს კრუტფენშტაინი.

### ჩ ი ნ ე თ ი.

**პეკინი.** პრეზიდენტის დეკრეტის ძალით უცხოელებს აღარ დაეთმობათ შემდეგში და აღარც იჯარით მიეცემათ ზღვის პირის ადგილები.

### გემის დაღუპვა.

**ქრისტიანია.** 30. მეთევზეთა გემი 11 კაცი კომანდით 28 აპრილს ფრონმარკენში ნაღმს დაეტაკა და ჩაიძირა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### იტალია და ომი.

იტალიის მდგომარეობა დღითი-დღე ირკვევა. უკვე ცხადი გახდა, რომ სამთა კავშირს მიემხრობა. 25 აპრილს მილანში დიდი პატრიოტული მანიფესტაცია გაიმართა: დიდძალი ხალხი და სტუდენტობა დილიდან საღამომდე ქალაქის უმთავრეს ქუჩებზე დადიოდენ და ყველა მცხოვრებთაგან ომში ჩარევას მოითხოვდენ. ქალაქში გამოფენილია სამთა კავშირის ბაირაღები შემდეგი წარწერით: „ძირს კაიზერი, გაუმარჯოს ომს“!

იტალიაში მობილიზაცია უკვე გამოცხადდა. გერმანიის მართველ წრეებში ხმები დადის, რომ იტალია მოქმედებას 7 მაისამდე შეუდგება.

### დარდანელის გარშემო.

სამთა კავშირის შეერთებულმა ფლოტმა შესამჩნევათ გაიმარჯვა: დიდძალი დაჭრილები მოჰყავთ კონსტანტინეპოლში; გაზეთების სიტყვით, მათი რიცხვი 15 ათასამდე ადის. გალიპოლის ნახევარ კუნძულზე სამთა კავშირი თანდათან ფეხს იმაგრებს. დარდანელის მეხუთე არმიის უფროსი გენერალი ფონ-სანდერსი იძულებული შეიქნა გალიპოლის ნახევარ კუნძულიდან თავის შტაბის ბინა მარმარილოს ზღვის კუნძულ როდოსტოზე გადაეტანა. „რეჩ“-ის სიტყვით, დარდანელის გარშემო ორთა კავშირმა 70 ათასი ჯარის კაცი დაკარგა.

### ავსტრო-უნგრეთში.

21 აპრილის თარიღით ვენიდან იუწყებიან, რომ მთავრობის ბრძანებით 1878 წ. 1894 წ. ლანდშტურმისტები 2 მაისამდის უნდა გამოცხადდენ.

### შვეცია და გერმანია.

შვეციის მთავრობამ გერმანიასთან საზღვაო ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო. როგორც ამბობენ, შვეციის მთავრობის მოთხოვნილებებში ბევრი ისეთი მუხლია, რომლის დაკმაყოფილებას გერმანია თავის თავზე ვერ მიიღებსო.

## „იმპერიალიზმი“.

ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ დღეს ყველგან „იმპერიალიზმზე“. „იმპერიალიზმი“ ახლა თანამედროვე მოდური იდეიაა. ყველას იმპერიის ინტერესები—„საერთო სამშობლოს დაცვა“—ენაზე აკერია, მაგრამ თუ „გერმანიის იმპერიალიზმი“ ახსენეთ, მაშინვე სახე ეცვლებათ, ზიზღით შემოგხედავენ და მტკიცე კილოთი გამოგიცხადებენ: „გერმანიის იმპერიალიზმი მხეცურია, ბარბაროსულია და ამიტომ ის საზიზღარიაო“.

აი რა აზრი დამკვიდრდა დღეს „საზოგადოებაში“.

მაგრამ გზნა ბევრს ესმის, თუ რა განსხვავებაა „გერმანიის იმპერიალიზმსა“ და სხვა ჯურის იმპერიალიზმს შორის?!

იმპერია და მისი ინტერესების დაცვის ისტორია ხომ ძველის ძველი ამბავია. ალექსანდრე მაკედონელის, ქვეყნიერების მპყრობელის და რომის ვეება იმპერიის ისტორია პირველი კლასის მოწაფესაც გაეგება; მაშ რა არის ახალი ამ „იმპერიალიზმში“?

ყველამ იცის, რომ დღეს ქვეყნიერება „დიდ“ და პატარა იმპერიებათ, ანუ სახელმწიფოებათ არის დაყოფილი და დედამიწის ზურგზე ვერ ნახავთ ისეთ ადგილს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს საკუთრება არ იყოს. აქედან იმპერიის ინტერესები—სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ, ეს სახელმწიფოს ინტერესებია.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, როცა დიდი ბრიტანეთის, ინგლისის მინისტრი, ჩემბერლენი წარსული საუკუნის მიწურულში გაბედულათ გამოვიდა და იმპერიის ინტერესების დაცვა საბაჟო პოლიტიკით მოისურვა, ე. ი. „იმპერიალიზმი“ ინგლისის მხ ნელათ გამოაცხადა, მას ბევრი აუმხედრდა; ინგლისის ლიბერალებმა მის წინააღმდეგ გაილაშქრეს და იძულებული გახადეს იგი მინისტრობიდან გადამდგარიყო.

როგორც ხედავთ, ლიბერალობა იმპერიალისტობას ეწინააღმდეგება. მეორე მხრით კი ისიც ყველამ იცის, რომ რუსეთის ყველა ჯურის ახალგაზდა ლიბერალები სასტიკი „იმპერიალისტები“ არიან. საქვეყნოთ ცნობილი ლიბერალები: პროფ. მაქსიმე კოვალევსკი და კადეტთა ლიდერი პავლე მილიუკოვი „იმპერიალისტური“ იდეების გაცხარებულ პროპაგანდას ეწევიან თავიანთი გამუდმებული ლექციებით.

მაშასადამე, არსებობს არა მარტო „გერმანიის იმპერიალიზმი“, არამედ მასთან ერთად—ინგლისისაც და რუსეთისაც, მაგრამ რა განსხვავებაა მათ შორის?—რატომ არის პირველი, ე. ი. „გერმანიის იმპერიალიზმი“ საზიზღარი და უარსაყოფი და იმავე დროს მისაღებია და სანუკვარი ინგლისის და რუსეთის იმპერიალიზმი? აი კითხვები, რომლებიც ჯერ კიდევ ელიან საფუძვლიან ახსნა-განმარტებას!

დადგება ამისი დროც და მაშინ ჩვენ მკითხველებს უფრო ვრცლათ და საფუძვლიანათ მოველაპარაკებით ამაზე.

მანამ კი მივუბრუნდეთ ისევ „ყველასგან“ ათვალწუნებულ „გერმანიის იმპერიალიზმს“ და მოვისმინოთ, თუ რას სწერენ ამის შესახებ თვითონ გერმანელები.

გერმანიის იმპერიალისტობას აგრე წოდებული მილიტარიზმიც თან ახლავს.

გენერალი ბერნგარდი და მასთან ერთად ფრაბენიუსი და ტრეიჩკე, აი ვინ არიან გერმანიის მილიტარისტობის და იმპერიალისტობის ცნობილი იდეოლოგები.

დღეს გერმანიაში აღარ ისმის გეტეს და კანტის სახელი; ხოლო ტრეიჩკე და ბერნგარდი კი სათაყვანებელ გმირებათ გადაქცეულან.

ამათ დაარწმუნეს მთელი ერი, გერმანელთა ნაცია, რომ მას ქვეყნათ არ უპირავს დამსახურებული და ღირსეული ალაგი. მათი აზრით გერმანია ვიწრო საზღვრებშია მომწყვდეული და ამის გამო იხრჩობა იგი: არ შეუძლია თავისი მოქმედების ძლიერი ფრთები გაშალოს და ამიტომ აუცილებლათ საჭიროა მისთვის, რომ ხმლით გაჰკვეთოს შემბორკველი ჯაჭვი და მთელი ქვეყნიერობის ახალი პოლიტიკური რუქა შექმნას.

(შემდეგი იქნება).

**დ—ელი.**

### ქუთაისი, 3 მაისი.

რაც უნდა მდიდარი იყოს საზოგადოება თუ ერი, ქველმოქმედებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის. პარიზი და ლონდონი სიმდიდრისა და ფუფუნების წყაროა. მაგრამ იმდენ საქველმოქმედო დაწესებულებებს ვერსად ვერ ნახავთ, როგორც იქ.

საქველმოქმედო საზოგადოებანი აარსებენ ღარიბთა სახლებს, საავადმყოფოებს, სკოლებს, თეატრებს, შველიან ათასნაირ დახმარებით აუარებელ ღარიბ-ღატაკს და უმსუბუქებენ მათ ცხოვრების მძიმე პირობებს. ევროპაში იყო ისეთი დრო, როცა ქველმოქმედებას ბრძოლა გამოუცხადეს. და ამ ბრძოლას იმით ასაბუთებდენ, რომ ქველმოქმედებას ვითომც გახრწნა შეჰქონდა ღარიბ-ღატაკთა კლასობრივ შეგნებაში. ეგონათ, რომ ქველმოქმედება ბურჟუაზიული ხრიკი იყო, რათა ამ ბურჟუაზიას დაემშვიდებინა ტკივილები კლასთა ბრძოლისა. მაგრამ ცხოვრებამ სასტიკათ დაჰგმო ასეთი შეხედულობა.

## საკვირაო ფელეტონი

### იმერლის ბოდვა

### განცხადებები

I.

გულ დათუთქულნი და უზომოთ შეწუხებულნი ბაქარისტები და მაკაოისტები აცნობებენ ყველა მეგობრებს, რომ გადაიცვალა **ბაქარა და მაკაო.**

გამოსვენების დღე დანიშნულია ორშაბათს ნაშვადღების 3 საათზე „ოფჩესტვენი სობრანიიდამ“, გაასვენებენ ან სადმე ნომერში, ან კერძო ბინაზე, . . . . . ყოველ დღე ჩილინგაროვის კანდიტერის წინ, დილის 8 საათიდამ საღამოს რვა საათამდის.

II.

გასათხოვარი ქალი ეძებს საქმროს მდიდარს, ლამაზს, კოხტას უსათუოთ უნდა იყოს 25 წლის, მზითები მაქვს: ორ სართულიანი სახლი, ფულათ ექვსი ათასი. სახლს აქვს ბანკის ვალი 20 ათასი. ჩემი ხნოვანება ჰკითხეთ ფილიპე ბარბაქაძეს.

III.

მივიღე ორი ვაგონი შაქარი, ვისაც სურს შეიძინოს, თხოვნა შემოიტანოს. მარკა კი ფულათ. მისამართი: იმასთან, ვინც მიიღო.

IV.

ნურავინ იწყენთ, თუ ის ათასები, რომელიც დავკარგე, გავანაწილე საქონელზედ. ასე რომ არ გაიარს ორი სამი თვე საზოგადოებისაგან ავიღებ. ნეტა მეტიც მიმეცა.

— —

დალუპოს ღმერთმა ეს განცხადებები, კარგ ფულს მაინც იძლეოდენ! დამესენ, არიქა ბიჩა ფილიპე, გვიშველე განცხადება დაგვიბეჭდე შენ საკვირაო ფელეტონშიო, ის კი არ იციან თუ რედაქტორი რა შავ დღეს დამაყენებს განცხადების წართმევისთვის, მარა რა უნდა ვქნა? თითო აბაზიც რომ მომცენ განცხადებებში, ჩემთვის ხელ-საყრელია, ამ ზაფხულში ორმოცი აბაზი რომ ავიღო, ორმოცჯერ მაინც წავალ ბულვარდში, როცა სეირნობას გამართავენ, რავა... თქვენ გონიათ ორმოცჯერ არ გაიმართება თუ?!

აწი მშვიდობით, ამწვანებულო ჩვენო ბულვარო!

თუ გამოხვალ ნაშვადღების 3—4 საათზე, თვარა ისე სულ დაკეტილი იქნება, თუ მიცემ აბაზს, კი ბატონო, მიბრძანდი, მარა აბაზი გეყოფა?!

ეჰე!.., მესმის აი დღეს რომ იმართება წ. კ. საზოგადოების სასარგებლოთ, იქნა აბაზს კი არა, თუ ვიშონე ღმერთმა ქნა, თუმანსაც მივაძუნძულებ, ისე კი რა მოგახსენო წარა მარა და ვ ლაცეების პირადი ანგარიშების და მიდებ-მოდებული ხალხისთვის წმინდა ჰაერს უნდა მოვაკლდეეე!... სადაა პატრონი?

პატრონი იოხტურ, თვარა ქალაქის მცხოვრებლებმა მთვარის ამოსვლას უნდა უყურონ, რომ ქუჩებში სინათლე იყოს?! ვთქვათ რაცხა საუბედუროთ იმ მთვარესაც მოაკლდა სინათლე, ან და მიეფარა რომელიმე კუდიანი ვარსკვლავი, ფარნები არ უნდა აანთონ?! დიდება შენთვის ღმერთო სანამდის უნდა უცადონ მთვარეს საწყალმა ქოშლებმა?..

დედოოო!... გამიწყრა ღმერთი და ამაღლება დღეს დამპატიჟეს და ქე არ წავედით!.. რავაა... რომ ერთმანეთს დაურიოს ჰოშელი ხალხი, გამზოგელს იშოვი თუ?! არც გარადავოი, არც ფარანი!

წამოვედი ღამე თვალებ დახუჭული დევეტაკე ერთ ფარანს, ვაი-თქვა დავიძახე, მე ვთქვი ნამდვილათ ყაჩაღებია და მიტაცებენ მეთქი. . ვტაცე ხელი ფარნის სვეტი შემხვდა ხელში, რრრრიიიო —დაძახა რაღაცამ და მთელი ფარანი, ისიც საცოდავათ შეუტავი, თავზე კილამეს ჩამომექ ხო, ვთქვი ამოგივარდა პატრონი მეთქი, სადაა პატრონი!?.

— გარადავოი, გარადავოი!—ვიყვირე სადაა გარადავოი? ვაი შენც ამოგივარდა პატრონი-თქო, მარა აქაც პატრონი იოხტურ თქვა ვთქვი. რავარც იქნა მოვტოტყდი ბაზარში.

სახლში ერთი ჩემი კარგი ნაცნობის წერილი დამხვდა—ლეჩხუმიდან და უკლებლათ უნდა გამოვაშკარაო შინაარსი:

ძვირფასო და სულზედ უტკბესო, ჩემო მოკოროჭინებულო ფილიპე! ხომ მშვიდობითა ხარ, კაი ხანია არ მინახავხარ, ჩემს ამბავს თუ იკითხავ, მოგეცა ღვთის წყალობა მე კარგათ და ჩვენი საზოგადოებაც გახარებული იყოს. არა, ჩვენში და სხვაგანაც ბევრი მინახავს... პრისტავებიც და უეზდნი ნაჩალნიკებიც, მარა ამისთანა არსად არ მინახავს, კაცო ჩემო ფილიპე რა ანგელოზმა გამოგვიგზავნა ამისანა კაცი, შენ გაგიკვირდება ახლა, მარა ნამდვილათ გეუბნები, რათია კაი იციიი!?. იმითი რომ, როცა მიუახლოვდები და უსუნებ, სუნი აქ კარგი. ამისანა სუნიანი ნაჩალნიკი ჯერ არ მოგვსწრებია; საკმეველის სუნი უდის, ყმაწვილო, საკმეველის! სწორეთ უზომო გახარებული ვართ სხვა რა მოგწერო, ჩემო ფილიპე!

ამ ზაფხულში იცოდე ამოდი ლეჩხუმში, იცოცხლე, შენ აქანა ლობიანი პურები, ღორის სათფილოები და ლევაშები გაჭამოო?!.

ჰო და აპა შენ იცი, ჩემო ფილიპე!

შენი ეგვიპტიძე.

მომივიდა ეს წერილი და ვერ გავიგე: რა სუნიანი ნაჩალნიკი მისვლიათ? მე მგონია დუხი ექნებოდა წასობილი, თვარა რა ჯანდაბის სუნი აქვს ნეტაი.

ეს ლეჩხუმლები, კაცო, აგერ აგერ შემშლიან ჭკუიდამ, ამდენი ლეჩხუმელი აფიცრები არ მინახავს სწორეთ, აფიცერი აფიცერს ქვია, ე! ეპალეტები კი აქ გაშხნათული ფხრებზე და ისე კამანდრობა, ვაი მეტი არაა ჩემი მტერი! რავაც მე ახლა ლემენცური არ ვიცი, ისე იმგენმა კამანდრობა.

ძალიან დამაჭირა გუშინ სიცხემ, სული კისერში ამოვიდოდა, რომ ერთ დუქანში არ მეტუცა თავი. მარა ვაი იმისანა შესვლას! რავარც შევედი მეცა მედუქნე და უშველებელი პროპკა მომადვა ტუჩებზე, რა შობი, კაცოთქვა?—უთხარი. არ შეიძლება ბატონო, აქანა არც სიმღერა, არც ხმამაღლა ლაპარაკი, ღვინოს ვყიდით ჩუმათ, რამდენიც გნებავთ ამას ქე გვიშლიან, მარა ჩვენ ისე ჩუმათ—გამიშვი, ჩემო ძმაო, არც შენი ღვინო მინდა, არც შენი საჭმელ-სასმელი, მე იმერელი კაცი ვართქვა—მე უთხარი—რომ გადავკრავ, ერთი „ოდელია“ თუ არ შამოვძახე, რავა შემიძლიათქვა. აბა მიბრძანდიო. მადლობას მოგახსენებ მეთქი, ფული გადავიხადო, კიდო შენ შეგეხვეწო და პროპკაც პირში ჩევირჭო-თქვა? გატყობ აღარც შენ გულია პატრონი მეთქი და გამოვედი, გაუდექი იქ, სადაც სიმღერა და ყვირილი კი არა, ხანდისხან რევოლვერის ბათქა-ბუთქიც არის. მარა სად არის პატრონი, იმე არ გავსკდი გულზე?! იმ პატრონს ამოუარდა პატრონი, ასე ყოვლად უპატრონოთ, რავარც ჩვენა ვართ მაინც შეიძლებაა?! რას დავეძებ? მე კი მყავს პატრონი მარა ჩემს პატრონზე შემდეგ მოგახსენებუ.

**ჯერ ისევ ფილიპე ბარბაქაძე.**

ჯერ ერთი დამტკიცდა, რომ ქველმოქმედებაში თვით ღარიბი ხალხიც დიდ მონაწილეობას იღებდა. მუშას სიხარულით შეჰქონდა თავისი წვლილი ღარიბთა დასახმარებლათ. მეორეც ესა, შეუძლებელია კაცს ხელი აღებინო სათნოებაზედ, რაგინდ მდიდარიც არ უნდა იყოს იგი. არ შეიძლება ადამიანში ჩაჰკლა ფაქტორი ურთიერთ დახმარებისა. ამიტომ ქველმოქმედებამ დიდი ფეხი მოიკიდა ყველგან. არსებობენ საზოგადოებანი, რომლებიც აურიცხელ სათნო საქმეს სჩადიან, არიან კერძო პირნი, რომლებიც ურეკლამოთ ეწევიან ქველმოქმედებას.

ჩვენში, საქართველოში შეკავშირებულათ მოწყობილი ქველმოქმედება, რომელშიაც თვით ხალხი იღებს მონაწილეობას, ახალი საქმეა, ჩვენ გვყვანდენ ცალკე ქველმოქმედნი, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს საზოგადოებას. ხალხის ჭეშმარიტ მეგობართათვის დ. სარაჯიშვილის, ძმ. ზუბალაშვილის და სხვათა სახელი მუდამ მოსაგონებელი იქნება. მაგრამ ამ კერძო ქველმოქმედებასთან არა სჩანდა საზოგადოებრივი ქველმოქმედება. ეს საქმე მხოლოდ ახლა ეწყობა ჩვენში და „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ მადლობელნი უნდა ვიყოთ, რომელმაც პირველმა მოისურვა განეახლებინა თავისი მიძინებული მოღვაწეობა. ამასთანავე ერთად ქუთაისშიაც დაარსდა ამ საზოგადოების განყოფილება.

ის დრო; რომელშიაც უხდება მოღვაწეობის განახლება ამ საზოგადოებას და ის გასაჭირიც, რომელიც ადგია ჩვენს ქვეყანას, საუკეთესოთ ასაბუთებს ასეთ საზოგადოების საჭიროებას. არასოდეს საქართველოს ისე არ სჭირებია დახმარება, როგორც ახლა, როცა სიმშილი კარს გვახლავს დ არასოდეს ქველმოქმედება ისე არ ყოფილა საჭირო, როცა მთელი კუთხე საქართველოსი—აჭარა—უკიდურეს პირობებში იმყოფება. შევსძლებთ თუ არა ამ საზოგადოების გაღონიერებას, გაუწევთ თუ არა დახმარებას მას—ეს იქნება მაჩვენებელი ჩვენი კულტურულ შეგნებისა.

## დახმარება.

გაზეთები სავსეა აჭარას შესახებ წერილებით. ხალხს ყოველდღე შეაქვს თავისი წვლილი სხვა და სხვა დაწესებულებაში. როგორც გაზეთებიდან ვიცით, ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ უკვე გაგზავნა კიდეც თავისი წარმომადგენელნი, რომელთაც დაზარალებულებს თესლი უნდა ჩაუტანონ. ჩვენ ვფიქრობთ, როცა ეს წარმომადგენელნი ადგილობრივ შეისწავლიან სურათს ამ გაჭირვებისას, თვითვე აუხსნიან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, თუ რანაირი შველაა ამ ჟამად საჭირო. მაგრამ არც მანამდის იქნება უადგილო ამის შესახებ ლაპარაკი.

რომ ჭეშმარიტის დმხმარებით მივიდეთ აჭარასთან, უნდა ვიცოდეთ, რას წარმოადგენდა იგი თავის ეკონომიურ ცხოვრებაში, რა იყო უმთავრესი სახსარი ცხოვრებისა და ცხოვრების რომელი მხარე დააზარალა ომმა. უნდა გამოირკვეს აგრეთვე, რომელი რაიონებია უფრო მეტათ დაზარალებული, ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ეხლავე უნდა გამოიძებნოს და თავის ადგილს დაუბრუნდეს ის ხალხი, რომელიც გაიხიზნა თავის სოფლიდან და დღესაც არავინ იცის სად იმყოფებიან ისინი. ჩვენს ქველმოქმედებაში ერთი დიდი შეცდომა შეგვიძლიან ჩავიდინოთ. აჭარა დიდი ქვეყანაა, ხალხიც ბლომათ არის, გაჭირვება საზოგადოა. ჩვენის დახმარებით, რომელიც არც ისე დიდი იქნება, შეიძლება ისეთ ხალხთან მივიდეთ, რომელიც ნაკლებ საჭიროებს ამ დახმარებას და ჭეშმარიტ დაზარალებულთათვის კი, როცა ისინი დაბრუნდებიან სალსარი აღარ გვეყოს.

ამიტომ მეტი არ იქნება მეტნაკლებობით ვსთქვათ რა ესაჭიროება ამ ჟამად აჭარას და სახელდობრ რომელ მის კუთხეს. გასაჭირი მთელს აჭარაში დიდია. მაგრამ იგი თავის სიმწვერვალეს იქ აღწევს, სადაც ომი ხდებოდა, ეს არის ჭოროხის ხეობა. დაწყებული ბათუმიდან ართვინამდე, მდინარის ორივე ნაპირებზე ცარიელი სოფლებილაა. სახლები დაქცეულია და ადგილი დამწვარი. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სახლებში კიდევ რამე ქონება მოიპოვება—მეტია. საქონელი და იარალი აღარ არის და რაც უფრო მთავარია,—აღარ არის თვით ხალხი. მაშასადამე პირველი საზრუნავი ის არის, რომ ეს ხალხი დაბრუნდეს თავის სახლებში. ასევე ითქმის აჭარის წყლის ხეობაზედაც. სოფელ ქედამდე, რომელიც ბათომიდან 38 ვერსზე სდევს, ხალხი არა სჩანს. მხოლოდ ქედიდან იწყება მოსახლეობა და

სავალდებულოა, რომ ეს მხარე არ მივილოთ ყველაზე უფრო დაზარალებულათ.

ეკონომიური ცხოვრება ამ რაიონებისა მთლათ მოიშალა. მთავარი დარგი მეურნეობისა, ხვნა-თესვა და თამბაქოს მოყვანაა. მინდვრებს კიდევ რამე ეშველება, თუ დროზე მივედით სათესლე მასალით. მაგრამ თუ ახლავე არ იქნა ზომები მიღებული თამბაქოს გადასარჩენათ, თამბაქოს კრიზისი დიდხანს გაგრძელდება, აჭარაში მთელი მხარე სავსეა თამბაქოთი. ხალხმა მისი დამზადება ვერ მოასწრო და ომმა უსწრო. ეს თამბაქო ახლა გააქვთ აჭარიდან, მაგრამ ვის და ვისთვის, არავინ იცის. ცხადია მხოლოდ, ერთი, რომ, თუ ეს თამბაქო გაყიდულია, ამ გაყიდვაში პატრონს არავითარი წილი არ უდევს. უნდა ვიფიქროთ, რომ ვერც სასყიდელს მიიღებს მასში. ამიტომ თუ ჩვენ გვსურს ჭეშმარიტი დახმარება აღმოუჩინოთ აჭარლებს, საქმეში ქართული სამეურნეო საზოგადოება უნდა ჩაერიოს, რომელმაც აგრონომები და ინსტრუქტორები უნდა გაგზავნოს. საზოგადოთ, აგრონომიული დახმარება პირველი საქმე იქნება აჭარისათვის, რადგანაც მხოლოდ სპეციალისტებს შეუძლიათ ვითარების შე წავლა და სახსრის გამოძებნა.

ფული, რომელიც გროვდება ამისთვის, ცხადია, ყველა საჭიროებას ვერ გასწვდება, მაგრამ იგი საკმაო იქნება როგორც პირველი დახმარება იმისთვის, რომ უნარის მქონე აჭარელი, რაკი თავის კერას დაუბრუნდა, მალე გასწორდეს წელში.

ბ—ი.

## დაუკვირდეთ!

(ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის არჩევის გამო).

მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანაო.

ხალხური ანდაზა.

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წარსულმა კრებამ ჩვენი პრესის საკმაო ყურადღება არ მიიპყრო; ჩემის ფიქრით კი ეს ყურადღება ფრიად საჭირო და სასარგებლოა, ვინაიდან ხსენებულ საზოგადოებას, ვითარცა ჩვენს ქართულ საკუთარ საკრედიტო დაწესებულებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ვაჭრობა მრეწველობისათვის და მომავალში კიდევ უფრო დიდი ექნება, თუ, რასაკვირველია, მისი მოქმედების ასპარეზი უფრო გაფართოვდება და გართულდება. ვიმეორებ, ამიტომაც მისი საქმეების მსვლელობას და კეთილდღეობას მეტი ყურადღება ეკივრება. *)

იყო დრო, როცა ამ საზოგადოებას ფრიად საპატიო და თვალსაჩინო ადგილი ეჭირა არა მარტო ქუთაისსა და დასავლეთ საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. იგი ერთი საუკეთესო საურთიერთო კრედიტის საზოგადოება იყო. მაგრამ ერთ დროს გამოუჩნდენ „მეგობრები“, რომელთაც მთავრობას საჩივარი საჩივარზე უგზავნეს, არიქა გვიშველეთ, ბანკი იღუპებაო. ამ საჩივრებს მოყვა მთავრობის რევიზია, ამ რევიზიას მეორე და მესამე რევიზია, რის გამოც ხალხი საშინლად დაფრთხა, და ვისაც კი იქ რამე შენახული ჰქონდა, გროში აღარ დასტოვა. ყველასათვის ცხადია, თუ რა გავლენას იქონიებდა ამ ნაირი შიში და მოქმედება ბანკის მდგომარეობაზე: დაეკარგა ბანკს ნდობა, დაეკარგა საზოგადოების თანაგრძნობა და დახმარება, აღარ მიეკარა მას არც შინაური და არც გარეშე. დაითხოვეს სამსახურიდან ამ ბანკის მეთაურნი და გამზრდელნი; ზოგი მათგანი სამართალში მისცეს, ზოგი ამას გადურჩა. ამ გვარად ეს მშვენიერი და სასარგებლო დაწესებულება ჩავარდა უნუგეშო მდგომარეობაში.

ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ ამ ბანკის აღდგენა და ფეხზე დაყენება შეუძლებელიაო და მოითხოვდა მის ლიკვიდაციას, ე. ი. მისი არსებობის მოსპობას. ხოლო მეორე ნაწილი ამ საზოგადოებისა ამის წინააღმდეგი იყო და ცდილობდა ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება ხელიდან არ წაგვსვლოდა და ბურთი და მოედანი არ დარჩენოდა უცხო ადგილიდან ჩამოსულ ბანკებს და ჩვენი ოფლით შეძენილი სიმდიდრე ისევ ჩვენს საზოგადოებას დარჩენოდა. ჩვენდა საბედნიეროდ, სწორედ ამ დროს ჩადგნენ ამ საზოგადოების სათავეში ნიჭიერი, ენერგიით სავსე და საზოგადოების გულშემატკივარნი პირნი, რომელნიც არ შეუშინდნენ არავითარ დაბრკოლებას და უსიამოვნებას, არ დაზოგეს თავგანწირული შრომა და მეცადინეობა, რომ წაქცეული, დაავადმყოფებული და სიკვდილის პირზე მისული დაწესებულება ფეხზე წამოეყენებიათ. აკი მეცადინეობამ ტყუილად არ ჩაუარათ ამ გულშემატკივარ პირთ!

სიმართლე და პირუთვნელობა მოითხოვს, ვსთქვათ, რომ ერთი საუკეთესო მოთავეთაგანი ამ დაწესებულებაში იყო და არის ახლანდელი დირექტორი ამ ბანკისა ბ-ნი რაჟ. დათეშიძე; ის სრული ჭაბუკურის და კეთილშობილურის გატაცებით და თავგამოდებით შეუდგა ამ დაწესებულების აღორძინებას და ფეხზე დაყენებას: იმდენი მხნეობა, საქმის სიყვარული, გამჭრიახობა და უნარი გამოიჩინა, რომ სასიკვდილოთ გამზადებული დაწესებულება ფეხზე წამოაყენა: დაუბრუნა ბანკს წინანდელი ნდობა, მოუპოვა მას საზოგადოების ყურადღება და თითქმის გაათავისუფლა იმ დიდი ვალისაგან, რომელიც მას მძიმე ტვირთად ედვა კისერზე. ახლა, ჩვენდა სასიამოვნოდ, შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ ჩვენი ბანკი, სერიოზული ბანკია, იგი ავადმყოფს აღარა ჰგავს, მოღონიერებული და წელში გამართულია: თუ აქამდის ჩვენ სხვისი ვალი გვემართა, ახლა ჩვენი სხვასა მართებს. ამისთანა კაცის მოქმედებას და სამსახურს ჩვენი საზოგადოება ზნეობრივად ვალდებულია ანგარიში გაუწიოს და შესაფერისად დააფასოს. თუ ამ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოება გულგრილობასა და უყურადღებობას გამოიჩენს, ის დიდს დანაშაულობას ჩაიდენს. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გულწრფელსა და ნაყოფიერ მშრომელს შესაფერის პატივისცემით და სიყვარულით ვექცეოდეთ: თუ ნივთიერად ვერ შევსძლებთ მის დაჯილდოვებას, ზნეობრივად მაინც დავაჯილდოვოთ ხოლმე. ჩვენს ამისთანა ქცევას მომავალი თაობისთვის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება: თუ გვინდა, რომ ჩვენი კერძო დაარსებული დაწესებულება, ბანკი იქნება იგი, თუ სხვა რამე, იზიდავდეს ნიჭიერსა, პატიოსანს, ენერგიის და ცოდნის მქონებელ მოღვაწეს, ჩვენ უეჭველად მეტის პატივისცემით და მორიდებით უნდა მოვექცეთ მას. მეტსაც ვიტყვი: ნივთიერადაც მეტად უნდა დავაჯილდოვოთ; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი დაწესებულება ვერასოდეს ვერ მიიზიდავს საქმის მცოდნესა, ერთგულსა და პატიოსან მშრომელ მოსამსახურეს და ამით განსაცდელში ჩავაგდებთ ყველა ჩვენს დაწესებულებას. ეს კი, რასაკვირველია, არავისათვის სასურველი არ უნდა იყოს.

ქართული ანდაზა არის „კარგის მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“, მე კი ვიტყვი, კარგს დაწესებულებას კარგი მოთავე და აღმასრულებელი უნდა.

ახლა ჩვენს საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობას თავმჯდომარე აღარა ჰყავს, რადგან პატივცემულმა თ. ნ. ერისთავმა, ავადმყოფობის გამო, სამსახურს თავი დაანება. მალე თავმჯდომარის არჩევა უნდა მოხდეს. ამის გამო ქუთაისში გაიმართა პარტიათა შორის კინკლაობა და კანდიდატების ქება—ძაგება. საჭიროა ჩვენი საზოგადოება კარგად ჩაუკვირდეს კანდიდატების ღირსებასა და ნაკლულევანებას, და, სასიცოცხლოდ გამობრუნებული ბანკი, არ ჩაუგდოს ხელში იმისთანა კანდიდატს, რომელიც ხელ მეორედ განსაცდელს მოუმზადებს მას.

**მანთანი.**

*) პრესას აახმაურებს და აალაპარაკებს ხოლმე მცოდნე და გამბედავი მეთვალყურე ცხოვრებისა, და ასეთი კი ქუთაისში, როგორცა სჩანს ძალიან ცოტაა. ჩვენ სიამოვნებით დავუბეჭდავთ წერილებს როგორც მომხრეს, ისე მოწინააღმდეგეს, ოღონდ კი ეს წერილები საქმის სიყვარულით იყოს გამოწვეული.

**რედ.**

## სამგლოვიარო წერილი.

ჩვენი ნიჭიერის ბელეტრისტის ნიკო ლომოურის გარდაცვალებამ დიდათ შემაწუხა; ჩვენს პირველ ხარისხოვან მწერალთა ხომლს კიდევ გამოაკლდა ერთი მაღალის ნიჭითა და აზროვნებით დაჯილდოებული მოღვაწე. ნიკო ლომოურის სიკვდილი ჩვენი ლიტერატურის დიდ და საკლისად უნდა ჩაითვალოს და სულითა და გულით ვგლოვობ მას.

ვუცხადებ განსვენებულ მოღვაწის პატივცემულს სახლობას ჩემს გულითადს მწუხარებას და თანაგრძნობას მათს მძიმე მწუხარებაში, და ვუერთებ ჩემს გულწრფელ გლოვას მათსას.

**ქაიხოსრო გელოვანი.**

## ახალი ამბავი.

გუშინ, 2 მაისს, შავიქვის საბჭოს დარბაზში მოხდა ქუთაისის მაზრის წვრილი კრედიტის ამხანაგობ. წარმომადგენლების კრება.

კრებამ ითათბირა ქუთაისისა და შიათურის დამშეულ მაზრებისათვის სიმინდის მიწოდების შესახებ და ამ საჭიროებისთვის გადასდო 27,000 მან. სიმინდი უნდა შემოიტანონ თერგის ოლქიდან, სადაც ფუთი სიმინდი ღირს თურმე 45—50 კ. აქ ჩამოტანილი სიმინდი ფუთი დაჯდება არა უმეტეს 14 შაურისა. კრებამ აგრეთვე დაადგინა იშუამდგომლოს გუბერნატორის წინაშე, რომ სიმინდის შემოსატანათ საჭირო ვაგონები დაუთმოს.

✦ კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების კრება, რომელიც დღეს უნდა მომხდარიყო სხვა და სხვა მიზეზებისა გამო შემდეგისათვის გადაიდვა.

✦ დღეს ქართ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზ. ქუთაისის განყოფილება ქალაქის ბაღში მართავს დიდ სახალხო სეირნობას, რომლის 10% გადადებული იქნება ომით დაზარალებულთა სასარგებლოთ. იმედია ქუთათურები თავის წვლილს არ დაიშურებენ და სეირნობას დაესწრებიან.

✦ ხვალ ქუთაისში გამოვა ყოველკვირეული საორშაბათო გაზეთი „ახალი კვალი“.

✦ მესამე სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფმა ევგნი გეგეჭკორმა სენაკისა და ზუგდიდის მაზრების დამშეულთა დამხმარე კომიტეტებს გაუგზავნა თითოს ათას—ათასი მან.

ეს ფული ბ. გეგეჭკორმა ამ მიზნისათვის მიიღო პეტროგრადის სატეხნიკო საზოგადოებიდან.

✦ შორაპნის მაზრაში ახალგაზდათა გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ მიმდინარე წელში მოხდება შემდეგ რიცხვებში: დ. ყვირილის პირველ გასაწვევ უბანში 12 ივნისს; ჩხარის მეორე გასაწვევ უბანში—5 ივნისს; საჩხერის მესამე გასაწვევ უბანში 21 მაისს; ჭიათურის მეოთხე გასაწვევ უბანში—15 მაისს და ხარაგაულის მეხუთე გასაწვევ უბანში—29 მაისს.

✦ ზუგდიდის მაზრაში ახალ ჯარისკაცთა გაწვევა მოხდება მესამე გასაწვევ უბანში (ს. წალენჯიხაში) 15-დან 24 მაისამდის, მეორე გასაწვევ უბანში (დ. ხოფში) 25-დან 30 მაისამდის და პირველ გასაწვევ უბანში (ქ. ზუგდიდში) პირველ ივნისიდან.

✦ როგორც სხვადასხვა სოფლებიდან გვატყობინებენ, ამჟამათ ღვინო მეტად გაძვირებულა. ფუთი ღვინო 4 მანეთამდის ფასობს. ღვინო რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში იგზავნება.

✦ როგორც ხიდისთავიდან (ოზურგეთის მაზრა) გვწერენ, იქ ამ ბოლო დროს სახადი გაჩენილა. შიმშილობის გამო ამავე სოფლმა აირჩია რწმუნებულები, რომლებმაც ბ. გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრეს სასურსათო დახმარების შესახებ.

✦ მოცვის ჩაის ფასმა ქუთაისში ძალზე დაიწია. ერთი კვირის წინათ ეს ჩაი ფუთი 12—15 მანეთად გადიოდა, ეხლა კი ძლივს 4 მანეთად გადის.

✦ დღეს, 3 მაისს, თფილისიდან ჩამოვა სასამართლო პალატის სესია, რომელიც ხვალიდან შეუდგება საქმეების გარჩევას. ხვალ გაარჩევს სიმონ თოლორდავას, პაკელიანის, კამელნიკოვის, ვეფხაძის და სხვების საქმეს.

✦ სამოსამართლო პალატის სესია 7 მაისს გაარჩევს გაზ. „იმერეთის“ რედაქტორის ბ. ჯაიანი საქმეს, რომელიც სამართალშია მიცემული გაზეთში მთავრობის ვითომდა საწინააღმდეგო წერილის დასტამბვისთვის.

✦ ხუთშაბათს, 30 აპრილს, დღის 12 საათზე ძველი თფილისის ქუჩაზე ერმალოზ ჭუმბურიძის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლის მქრობელი რაზმი და პოლიცია მალე მიეშველა, მარა ვერა გასწყო რა. სახლის პატრონმა და ერთმა მდგურმა ნივთებიც კი ვერ გადაარჩინეს. ზარალი რამდენიმე ათას მანეთს უდრის. სახლი დაზღვეული ყოფილა.

✦ ქ. ე. ხოჯევანიშვილის პროგიმნაზიაში სწავლა დაამთავრა სულ 36 ქალმა, აი მათი გვარებიც:

ალიბეღოვა, ბაბუნაშვილი, ბარბაქაძე, ბოკუჩავა, გვანცელაძე, გიორგობიანი, გელოვანი, ჯავახაძე, ჯანგავაძე, ჯინჭარაძე, ჯაფარიძე, კილაძე, ლიპარტიანი, კვიმსაძე, კშონზერ, კოსტავა, ნეცუბიძე, ოდიშარია, ფორჩხიძე, ფხაკაძე, რეხვიაშვილი, სერვეტნიკ ქლარა, სერვეტნიკ ესფირა, ტერ-გაბრიელოვა, უგლება, ხალიუკოვა, წერეთელი, ჭანტურაია, ჩელინგაროვა, ჩუბინიძე, შავრაშიძე, შევარდენაძე, შოთაძე, თოფურიძე, ძოძუაშვილი და კოზლოვა.

### თეატრი.

✦ დღეს, ქალაქის თეატრში შესდგება მხიარული საღამო, წარმოდგენილი იქნება ვ. გუნიას კომედია, „დამთხეული ღენერალი, და ვოდევილი ვ. ურუშაძის „რუკი ვვერხ!—ფასები ჩვეულებრივია.

— —

✦ ქარ. მსახიობთა ამხანაგობის სეირნობას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, დაახლოვებით ათას მანეთამდე იყო შემოსავალი.

— —

✦ 6 მაისს შესდგება მსახიობის ნ. გვარაძის ბენეფისი, მზადდება შ. სანებლიძის ახალი ორიგინალური პიესა „ცხოვრების ტალღებში.

## ქართული ენა.

(დასასრული. იხ. „სამშობლო“ № 70.)

ოჯახიდან ახლა სკოლაში გადავიდეთ: როგორც ზევითა ვთქვით, მოუმზადებელი მოწაფე ქართულ ენაში თავისუფლად შედის კლასში და გადადის კლასიდან კლასში, მცოდნესთან ერთად ზის ყოველად უვიცი. სუსტ ბოვშს ეუბნება მასწავლებელი: ასე არ ვარგა, საქმე უნდა გამოკეთდეს და წინ უნდა წაიწიო, კლასში რაც შეიძლება მე მოვემზადები, მაგრამ სახლში მეტი დრო თუ არ იმეცადინე, არ ივარგებსო; მოწაფე უპასუხებს: ახლა ცუდს ნიშანს ნუ [illegible] ხულში ვიმეცადინებ, თორემ [illegible] ვი უნდა დავანებო ქართულსო; [illegible] ახლა არ გინდა ხელი მოკიდო მეცადინეობას? რა ქართველი ხარ, რომ ქართული არ იცი და არც გინდა იცოდე? რა ვქნა—კვლავ გიპასუხებთ,—ვიცი რასაც მირჩევთ, ვიცი ისიც, რას ნიშნავს ჩემთვის ქართული, მაგრამ სახლში არ მისწავლია და აქ სკოლაში,—კი სხვა საგნებით გვარჩობენ... თუ ის საგნები არ ვისწავლე დამღუპავენ. ქართულს კი ყურადღებას ვინ აქცევსო.

წადით და ევაჭრეთ ახლა ამ გვარ მოწაფეს. თუ ჭკუაში მოუვიდა თქვენთან ვაჭრობა, ისწავლის, თუ არა და არა. ახლა რა მდგომარეობაში უნდა იყოს მასწავლებელი, რა გულის წყრომა, ბრძოლა და განსაცდელი უნდა გადიტანოს მან, რომ ცოტათი მაინც რამე შექმნას ამ გვარ ძნელ პირობებში, არა და რა უნდა უთხრას სინიდისს, თუ არაფერი გააკეთა. ყოვლად აუტანელია ასეთი მდგომარეობა და ამას აქამდის თუ ჰქონდა ადგილი, კმარა, დღეის შემდეგ მაინც უნდა მოისპოს ასეთი უგვანო მოვლენა; თვით სკოლის მთავრობაც ვერ ურიგდება დღეს ამ წესს. მაშასადამე აუცილებლათ საჭიროა: 1) რომ მოწინავე და შეგნებულმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ქართული ენა ჩაითვალოს **დავალებულ საგნათ** სკოლაში, სწორეთ ეს მოსაზრება იყო გატარებული შარშანაც „სახალხო გაზეთსა“, „თემსა და იმერეთში“, მხოლოდ დღემდის მას არავითარი რეალური მნიშვნელობა არ მისცემია და საქმეს არავინ არ შედგომია; რატომ? აბა რა ვიცი, უთუოთ მისთვის, რომ ჩვენ უფრო სიტყვის ხალხი ვართ და არა საქმის; შეიძლება ომის მიზეზიცაა, აკი ყოველივე უსაქმობას ახლა ჩვენში მიზეზათ ომს უდებენ, „წყალ წაღებული, ხავსს ეკიდებოდაო“, ისეა ჩვენი საქმე. შე კურთხეულო, ჯერ „მგლის შიშით ცხვრები ვინ დახოცა“ და მერე თუ ჩვენ მებრძოლ ძმებს აქ ძილით ვუპასუხეთ, აშენდება ჩვენი სახლ-კარი და ის იქნება.

იარაღის დაყრა და მცონარობა ჯაბანის საქმეა. დღეს გახურებული ბრძოლაა გარეთ და შიგნით და საქვეყნო მეჯლიშზე ის დარჩება გამარჯვებული, ვინც უფრო ძლიერი და დროის შესაფერი ფარხმლით იქნება აღჭურვილი, დანარჩენი კი ბუშბუშელასავით გაქრება და აღიგვება პირისაგან ქვეყნისა. ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ ამ საზოგადო ფერხულს. წარსულ წელს, 14 ივნისს ახალი კანონი გამოიცა შესახებ საგნების სწავლებისა ქართულ ენაზე კერძო სასწავლებლებში, ეს გარემოება უფრო მეტს საფუძველს და იმედს გვაძლევს, რომ დასახელებული შუამდგომლობა უეჭველად სასურველად დამთავრდება; ამისთვის ახლა მეტათ მოხერხებული დროცაა, თავად-აზნაურთა კრებებიც ახლა უნდა მოხდეს და მათ ეძლევათ სრული შეძლება ეგ საქმე დააჩქარონ, რომ გაისისათვის არ გადიდვას.

მეორე მიზეზი, რომელიც აფერხებს ქართული ენის საქმეს, არის დავალებულ პროგრამების უქონლობა სკოლაში. აღძრულია საკითხი სახელ-მძღვანელო წიგნების შესწორებისა და საკითხავ წიგნების გადათვალიერების შესახებ. ეს ფრიად კარგი აზრია თუ განხორციელდა; ამასთან უნდა მიყვეს პროგრამების შედგენა საშუალო სკოლის ყველა კლასებისთვის. ამისთვის უნდა შედგეს მცოდნე და გამოცდილ პირთაგან კომისია, რომელიც უნდა შეუდგეს ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს. როდესაც სახლს ვაშენებთ, ჯერ გეგმას ვადგენთ და მერე ამის მიხედვით შენობას ვაკეთებთ. ასეთი წესი არსებობს ყოველ საქმეში და ასე უნდა მოხდეს ენის სწავლებაშიაც. ქართულ ენაზედ დღეს არ არსებობს ისეთი პროგრამა, რომელიც ჩაითვლებოდეს სამაგალითოთ და დავალებულათ უმთავრესი თავისი ნაწილით მაინც ყოველ საშუალო სკოლისათვის.

ქართული ენის ყოველ მასწავლებელს თავისი პროგრამა აქვს, როგორც უნდა და რაც უნდა, იმას ასწავლის, როგორც მას ეპრიანება და სურს, არ არსებობს აქაც, არავითარი ერთიანობა და შეთანხმება. ნუ დავივიწყებთ რომ ჩვენში ძლიერ ჭრელი ხალხია ქართული ენის მასწავლებლათ, ერთი იწყებს ანით, მეორე ბანით, ერთი ლექსებს კითხულობს, მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორე მაღალ კლასებშიაც „დედა ენას“ გადის, ერთს მოსწონს „ბუნების კარი“, მეორეს „გუთანი“, მესამეს გომელაური, იქ ჟამნს გადიან და იქ დავითნს, აბა მითხარით: ასეთ არევ-დარევით საქმე გაკეთდება!? არასოდეს!

რამდენ უკანონობას და უსამართლობას უძლებს საბრალო ქართული ენა, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმეში სულ არაფერი იყოს ნამუშევარი ჩვენში, ნამუშევარი არის, მხოლოდ დამთავრებული და დაბოლოვებული, არ არის.

მაგალითად, 1907 წელში, თფილისში, ბ. ე. თაყაიშვილის მეთაურობით შესდგა კამისია, რომელიც შეუდგა პროგრამის გეგმის შედგენას, როგორც ვიცი, ამ კამისიამ კიდეც დაამუშავა ესეთი გეგმა საშუალო სკოლის ყველა კლასებისთვის, იბეჭდებოდა ეს პროგრამა თუ არ ვცდები, გაზეთ „ისარში“ და კომისია თხოულობდა დაკვირვებას და აზრის გამოთქმას ამის შესახებ. რატომ ის პროგრამა დავალებულად არ ჩაითვალა არ ვიცი, შეიძლება ნება არ დართეს. დღეს რასაკვირველია, უფრო კარგი პროგრამის შედგენაც შეიძლება იმ პრაგრამის ნიადაგზედ, უფრო დროისა და გარემოების შესაფერი, უამისოთ ქართული ენის სწავლება წყლის ნაყვა იქნება. ამავე კომისიამ უნდა შეუფარდოს, ასწონ დასწონოს სახელ-მძღვანელოები, და ყოველივე სავარჯიშონი, განსაზღვრული და არა ასე არევ დარეულნი, აგრეთვე საკითხავი წიგნები და ახალი გამოცემანი უნდა შემოწმებული და დაფასებული იყვნენ მცოდნე პირთაგან შემდგარ კამისიისაგან და არა ჩუმათ და ნამალავათ ვრცელდებოდნენ სკოლებში.

საღი სულიერი საზრდო უეჭველათ საღს სულს შექმნის და ცუდი-ცუდს.

ჩემის აზრით არც ის იქნებოდა უმნიშვნელო, რომ დაარსებულიყო ჩვენში ისეთი ორგანო, რომელმაც თვალ-ყური ადევნოს, კანტროლი გაუწიოს ქართული ენის სწავლების საქმეს, როგორც ოჯახში, ისე სკოლაში და დროგამოშვებით ანგარიში გამოქვეყნდეს პრესის საშუალებით.

ჯერ-ჯერობით მე ამაზედ შევჩერდები, ვნახოთ ამ მოსაზრებას რა შედეგი მოჰყვება...

**დეცემ.**

# თფილისის გამანაწილებელი საავათმყოფო № 33.

ხსენებულ საავათმყოფოს მოსამსახურეები განიყოფებიან ორ პერსონალათ: მაღალი და დაბალი. ამ უკანასკნელთ ფაქტიურათ ეკუთვნის სანიტარებიც, მიუხედავათ იმისა, რომ ამათ უწოდებენ საშუალო პერსონალათ. საავათმყოფოში არსებობს ორი სასადილო: მაღალი და დაბალი პერსონალისათვის, აშკარაა პირველის საჭმელი უკეთესი თვისებისაა, ვიდრე მეორესი. მარა მთელი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ხშირათ ამ უკანასკნელთ უმასპინძლდებიან ძველი და ყოვლად უვარგისი საჭმელით, რის გამოც ხსენებული მოსამსახურეების მასიურმა ავათმყოფობამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ამ რიგათ 15 აპრილს ათამდი საავათმყოფოს მრეცხავ ქალებს დაუწყო პირიდან ღებინება და მუცლის ტკივილი, როგორც ხოლერიან ავათმყოფს ემართება ხოლმე. ექიმების შემოწმებით გამოირკვა, რომ მიზეზი ავათმყოფობისა ყოფილა ძველი უვარგისი საჭმელი. მზგავსივე შემთხვევა გამეორდა 27 აპრილს: ისეთივე ნიშნებით ავათ გახდენ 11 სანიტარი და 15 წვრილი მოსამსახურე. ამ რიგათ საბუთი გვეძლევა ვიფიქროთ, ასეთ სცნაციურ შემთხვევებს კვლავ ექნება ადგილი, ვინაიდან არავითარი რადიკალური ზომები არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში ვისგანაც ჯერ არს, არ ყოფილა მიღებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 27-ს ღამის 11 საათზე საავათმყოფოში მოსვლას ბ. ბ. საევაკუაციო ბიუროს თავჯდომარის ა. ს. ბაბოვის, ქალ. გამგ. წევრის ჯაბარის, ექიმ. შ. მიქელაძის და სხვათა მოსვლას და გამოძიების მოხდენას.

მარტო ზემოთაღნიშნულით არ თავდება ხსენებულ მოსამსახურეების აბუჩად აგდება, რაც გამოიხატება ბ. ბ. ისაკიან-მინასიანცების (ექიმებია) მიერ განსაკუთრებით სანიტარებისადმი (რომელთა უმეტესობაც ქართველებია) უზრდელად მოპყრობაში და პიროვნების დამცირებაში.

ნეტავ როდის მოეღება ბოლო ყველა ამაებს?!

**დემონი.**

# სამშობლოს შესასწავლი მასალები

**ს. საყულია.** (საყულიის საზოგადოება, ქუთ. მაზრა) ს. საყულია მდებარეობს ქ. ქუთაისიდან თითქმის სამხრეთ დასავლეთით და დაშორებულია ქუთაისზე ოცი ვერსის მანძილით. აღმოსავლეთით ამ სოფელს საზღვრავს ს. ოფიშკვითი (საყ. საზოგ.), დასავლეთით სოფ. ბაში (კიდევ საყ. საზ.), ჩრდილოეთით ს. ფარცხანაყანები (ფარცხანაყანების საზ.) და სამხრეთით მდინარე რიონი. ეს სოფელი შესდგება 271 კომლისაგან, რომელშიაც უმრავლესობას შეადგენს გლეხობა 226 მოსახლე, შემდეგ თავად-აზნაურობა, სასულიერო წოდება და მოქალაქეები. სულადობით მცხოვრებთა რიცხვი შემდეგნაირათ განისაზღვრება:

| გლეხი. | | თავ.-აზნ. | | სასულ. წოდება. | | ს უ ლ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მ. | დ. | მ. | დ. | მ. | დ. | მ. | დ. |
| 627 | 573 | 43 | 40 | 74 | 67 | 744 | 680 |

მცხოვრებთა გვარები: სვანაძეები, აბდალაძეები, ბიბილეიშვილები, გამგებლები, გოგონაძეები, ქინქველაშვილები, ჯანაშიები, დარსაველიძეები, სალდაძეები, ქოლაძეები, არეშიძეები, დიდიძეები, ნიჟარაძეები, მესხი, სულაკაძე და კიდევ თითო ოროლა სხვა გვარი, რომელნიც უმეტეს ნაწილათ ჩამოსულები არიან სხვა და სხვა სოფლიდან; მდებარეობა სოფლის ვაკეა, მიწა შედარებით კარგ მოსავლიანია, თუ ნამეტანი ნოტიო წელიწადი არ შეხვდა. აქაური მცხოვრებლები მისდევენ უმეტესათ მიწის მუშაობას: სთესენ სიმინდს, ლობიოს, კომბოსტო-კარტოფილს და სხვ. მისდევენ მევენახობას და ისეთ მოსახლეს ძალიან ძვირათ შეხვდებით, რომელსაც სულ მცირე ნახევარი ქცევა ვენახი მაინც არ ქონდეს და ქცევა და ორი ქცევა და კიდევ მეტი ხომ ბევრს აქვს. ვენახი შედარებით კარგ მოსავალს იძლევა: ქცევაზე დაახლოებით მოდის 80—120 ჩაფამდი და კიდევ მეტი; ამ ბოლოდროს მიყვეს ხელი სხვა და სხვა ხეხილის მოშენებასაც, მაგ., ბალი როგორც საადრიო, ისე საგვიანო, ალუჩა, გარგარი და სხ. ბაღები უმეტესათ კომბოსტოსი და კარტოფილის ძალიან გახშირებულია; მოსახლეზე 1 ქცევიდან ცქევანახევრამდი იქნება და ძალიან კარგ მოსავალსაც იძლევა. მაგრამ, რადგანაც ვაჭრობა უმეტეს ნაწილათ ჩარჩების ხელშია, ამიტომ გლეხობის ხელში ძალიან მცირე შემოსავალი რჩება და უმეტეს ნაწილს ჩარჩები ითვისებენ. მთელი ბაღეულობა აქიდან იზიდება უმეტეს ნაწილათ სადგურ მუხიანიდან და მცირე ნაწილი კი მიდის ქუთაისში. სთესვენ აგრეთვე ბამბას და პურის თესვას კი ნაკლებათ მისდევენ. საქონლის მოშენებას, რადგანაც საბალახო ადგილები ბლომად მოიპოება, ძალიან მისდევენ. ხშირია მოსახლე, სადაც 10—15 სულ მსხვილფეხ საქონელს შეხვდები, (თითო) უღელი ხარი, თითო, ან ორი ძროხა, ღორი და ცხვარი სუყველა მოსახლეს მოეძებნება. ცხენები (ძალიან) ბლომათ იყო, მხოლოდ მობილიზაციის შემდეგ ძალიან მცირე დარჩა და ისიც ნაკლები და უვარგისი. წვრილფეხი, როგორც, მაგ. ქათამი, ბატი, იხვი, ინდაური და სხვ. ძალიან ბლომათ და კარგ შემოსავალსაც იძლევიან, მხოლოდ სუყველანი ადგილობრივი ჯიშის არიან.

ქონებრივათ საყულიელები საშუალო შეძლებისა არიან. ფიცრული ოდები და კუხნა სახლი თითქმის უმეტესობას აქვს, ძალიან ნაკლებათ არის ძველებური შუაცეცხლიანი სახლები; მიმოსვლა ქალაქთან ძალიან კარგად არი მოწყობილი, ყოველდღე საყულიასა და ქუთაისს შუა დადის ორი ფაეტონი და ორი დილიჟანი. მახლობელი სადგური „მუხიანა“ ახლავს 5 ვერსის მანძილზე.

მცხოვრებლები, განურჩევლათ წოდებისა, სამ ნაწილათ განიყოფებიან: მდიდარს აქვს 15—20 ქცევამდი სახნავი მიწა ეზოიანათ; საშუალოს; 10—13 ქცევამდი და ღარიბს 5—7 ქცევამდის ეზოიანათ.

სწავლა-განათლების მხრით ეს სოფელი ძალიან ჩამორჩენილია. არსებობს მხოლოდ ერთი სამინისტრო სკოლა სამ-კომპლექტიანი სამი მასწავლებლით; სკოლის შენობა უბრალო ხის არის და ისეთია, რომ ვერც კი იცნობ კაცი თუ ეს სკოლის შენობა არის. სკოლა დაახლოებით იტევს 100 მოწაფეს, რაც მცხოვრებთა რიცხვის 8% ნაკლებს შეადგენს. სკოლა ინახება ხაზინის ხარჯით, მხოლოდ სოფელი თავისი მხრით ყოველ წლიწადს იხდის სოუჯახო ხარჯებისთვის 300 მან. თითო კომლს საშუალოთ უწევს 2 მ. 30 კ. რაიც სხვა ხარჯებთან ერთად, რომელსაც მარტო გლეხობა იხდის, ძალიან მძიმეთ აწევს გლეხობას კისერზე. თითოეულ გლეხს სულ მცირე წლიური გადასახადი, მღვდლის, კანცელარიისა და სკოლის უწევს 11—12 მანეთამდი.

აქ არსებობს აფთიაქი, რომელიც ეკუთვნის ბ. ლეჟავას, მაგრამ ისეთ უვარგის ადგილას დგას რომ მცხოვრებთა უმრავლესობა ვერც კი სარგებლობს მით. არავითარი საზოგადო დაწესებულება, გარდა სასოფლო სამმართველოსი, აქ არ არსებობს; მხოლოდ აქაურ მცხოვრებთა ნაწილი არის შეწერილი ამხანაგებათ ოფიშკვითის წვრილი კრედიტის ამხანაგობაში, არის რამოდენიმე სავაჭრო დუქანი: ერთი ფართლეულობის, სამი სამიკიტნო და სამი ბაკალეინი; გასაკვირალი ის არის, რომ ამ სოფელში არაანს, გარდა დღეობისა, როცა მეარღნეები სხვა სოფლიდანაც მოდიან, ძალიან ძვირათ შეხვდებით.

ტანსაცმელ-სახურავი მამაკაცების ჩვეულებრივ-იმერულია, ქალების კი გადასხვაფერებული; ხლარ არის ძველებური ქართული კაბა ჩიხტა-კოპით და თუ ვინმეს კიდევ ახურავს ძველებურათ—ქართველურათ, ისიც ახალმოდის კაბებზე. ქალიშვილების ტანსაცმელი ევროპიულია.

ენა ძალიან შერეულია. წმიდა ქართული ძალიან ძნელი გასაგონებელია; თუ ვინმეს თითო ოროლი რუსული სიტყვა ეხერხება იმის თქმას ამჯობინებს, ვინემ ქართულისას. ნამეტურ მოინტელიგენტო ინტელიგენტები; და ამიტომ მათ და ხალხს შორის შემაერთებელი ხიდი ჯერ არ ჩანს. აქ არსებობს ორი ეკლესია, ერთი დაბლა საყულიაში მთავარ-ანგელოზის სახელობაზე და მეორე ზედა საყულიაში მაცხოვრის სახელობაზე (ხის შენობაა). აქ უქმობენ მთავარანგელოზობას აღდგომის მეექვსე დღეს და ახალ კვირეს პირველი კვირე აღდგომის შემდეგ. ეს დღეობები ამ სოფელში ძალიან დიდ ხარჯებს იწვევენ. დაახლოვებით სულ მცირე სამი ათასი მანეთი (3000 მანეთი) ეხარჯება მცხოვრებლებს ასეთ არასარგებლო და მავნე ჩვეულებებში. გარდა ამ ჩვეულებისა აქ, როგორც სხვაგან, იციან ტირილქელეხი, სადღეობო და სხ. ჩვეულებები. ნამეტანათ დიდ ხარჯს აძლევს გლეხობას ქელეხი. ქელეხში იკრიბება ხალხი, ვითომდა ჰირისუფალის სანუგეშოთ, მაგრამ ნამდვილათ კი თვრებიან და ხშირათ ჩხუბიც ხდება. ეს ჩვეულება თანდათან მცირდება, უწინ თუ მთელ სოფელს პატიჟობდენ, დღეს მარტო უბნობით პატიჟობენ და მოყვრებს. იმედია, რომ ეს ჩვეულება ძალიან მალე მოისპობა. გარდა ამისა, როგორც სხვაგან, აქაც გავრცელებულია „ბატონების“ მობოდიშება და ხშირი მოვლენაა, რომ „ბატონების“ „შიშით“ ექიმი არ მოყავთ და ავათმყოფს უდროვოთ ასალმებენ წუთისოფელს.

**ს. ინაკაძე.**

# წერილი ხარაგაულიდან.

ზემო იმერეთში დაბა ხარაგაულს, ზესტაფონს შემდეგ, პირველი ადგილი უჭირავს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების მხრივ. აქ არსებობს ხუთკომპლექტიანი ორკლასიანი სავაჟო სამინისტრო სასწავლებელი, ოთხ კომპლექტიანი ორკლასიანი სამინისტრო საქალებო სასწავლებელი, ორ კომპლექტიანი ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი, სამ კომპლექტიანი ორკლასიანი საქალებო სამრევლო სკოლა, მომრიგებელი სასამართლოს განყოფილება, საბოქაულო დაწესებულება, წვრილი კრედიტის ამხანაგობა, უფასო ბიბლიოტეკა-სამკითხველო, ფოშტა-ტელეგრაფის განყოფილება, აფთიაქი და საფერშლო „პუნკტი“.

ყოველი სინიდისიერი კორესპონდენტის უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ ყოველივე მის მიერ აღებული საგანი ნათლათ გაამუქოს, ასწონ-დაწონოს, სიმართლე სთქვას და სრული მიუდგომლობა გამოიჩინოს. ამ აზრით განმსჯავლულს მე არ შემიძლია, რომ ყველა ზევით ჩამოთვლილ კულტურულ დაწესებულებებზე ის არა ვსთქვა, რაც მათ შესახებ, ავია თუ კარგი, უნდა ითქვას.

როგორც მკითხველი ხედავს, დაბა ხარაგაულში თითქმის ყველა კულტურული დაწესებულება არსებობს, მაშასადამე, იფიქრებს მკითხველი, აქ სიცოცხლე უნდა დუღდეს და გადმოდუღდეს, მაგრამ, საუბედუროთ, ეს ასე არ არის.

როგორც ზევითაც მოგახსენეთ აქ ოთხი ორკლასიანი სასწავლებელია ორი ვაჟებისათვის და ორიც ქალებისათვის. ეს სასწავლებლები, განსაკუთრებით სავაჟო სამინისტრო სასწავლებელი და საქ. სამრევლო სკოლები ძლიერ ახლო-ახლოს არიან ერთი-მეორესთან; სულ ბევრი ოთხი თუ ხუთი საჟენის სივრცით არიან ერთმანეთს დაშორებული და ძლიერ უშლიან ერთმანეთს ხელს. ეს სასწავლებლები სხვადასხვა უწყების არის, მაშასადამე, გაკვეთილების ნუსხა ერთმანეთთან შეთანხმებული არ შეიძლება რომ იყოს, ამის გამო ერთში რომ გაკვეთილები იწყება, ამ დროს მეორეში უკვე თავდება, ერთში რომ გალობის გაკვეთილია, მეორეში ამ დროს რომელიმე საგნის თვალსაჩინო სწავლებაა. მოდით და დაიცავით ამ დროს პედაგოგიური პრინციპები!

სავაჟო სამრევლო სასწავლებელში მოსწავლეების რიცხვი ყოველ წლობით კლებულობს, ვინაიდან იქ სასწავლო გადასახადია დაწესებული, და ეს სასწავლებელი ორ-კომპლექტიანობას ველარ გაშორებია და სავაჟო სამინისტრო სასწავლებელში კი ყოველ წლობით ბავშები, უადგილობის გამო, სკოლის გარეთ რჩებიან. ბევრათ უმჯობესი იყო, რომ სასკოლო მთავრობა ან სასულიეროსი ან სამინისტროსი, გონს მოსულიყო და უმაღლესი რომელიმე ტიპის სასწავლებლად გადაეკეთებიათ ერთ-ერთი არსებული ორკლასიანი სკოლა, რომ არსებულ სასწავლებლებში კურს დასრულებულებს შეძლება ჰქონებოდათ სწავლა განეგრძოთ. და თუ ეს მოუხერხებელია, მაშინ უმჯობესია სავაჟო სამინისტრო სასწავლებელში დაწესდეს განსაზღვრული რიცხვი მოსწავლეებისა, მოიხსნას იქ ორი მასწავლებლის ადგილი და იმათი ჯამაგირით გაიხსნას თითო კლასიანი სასწავლებლები სოფელ ფარცხნალსა და ბაზალეთში, რომლებიც უსასწავლებლოთ არიან დღემდის დარჩენილი და იქაური პატარა ბავშები, აქაურ სუხიან ზამთარში, ოთხი-ხუთი ვერსის სიშორეზე დაიარებიან დაბა ხარაგაულში. ყოველივე ამას კი შრომა და მეთაური უნდა და შრომის მოყვარული და გულშემატკივარი ადამიანი კი სამწუხაროდ ძლიერ ცოტაა ჩვენში.

ხარაგაულის სავაჟო სამინისტრო სასწავლებლის ზედამხედველის ბ. ვ. არეშიძის სასახელოთ უნდა ვსთქვა, რომ ამ სკოლის ბაღი, ვენახი და ბოსტანი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. ამ ბოლო დროს სასურველი მიმართულება მიიღო საზოგადოთ სამრეწველო სწავლებამ ამ სკოლაში, რისთვისაც ბ. ბ. ... მასწავლებელი ლ. ჭიპაშვილიც მადლობის ღირსია. უმადურობა და უსამართლობა იქნება ქებით არ მოვიხსენიოთ ამავე სკოლის მასწავლებელი ქალი ქალბატონი ვერა ვეფხვაძე, რომელიც სავალდებულო საგნებს გარდა გალობასაც ასწავლის. მისმა მუყაითობამ და ენერგიამ დიდათ აამაღლა საზოგადოების წინაშე ის სიმპატიური სასწავლებელი, რომელშიაც მას აქვს კურსი დასრულებული და სახელათ ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი ჰქვია.

სავაჟო სამინისტრო სასწავლებლის ზეგავლენით, თუ სავაჟო სამრევლო სასწავლებელში მოსწავლეების რიცხვი ნაკლებია, სამაგიეროთ საქალო სამრევლო სკოლის ზეგავლენით საქალო სამინისტრო სკოლაში კლებულობს მოსწავლეთა რიცხვი. ორ საქალებო სასწავლებელს დაბა ხარაგაულში მუშაობა არ შეუძლია.

რათა? ამაზე შემდეგ.

**მ. ფარცხნალელი.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშვალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომლებმაც ალგანის უფასო წიგ. საც. სამკითხველოს შემოსწირეს ფულათ. სია შემომწირველთა: ბ. ჩაჩხიანმა—50 მან., პორფი ფანჯავიძემ—8 მან., გიორგი საბახტარიშვილმა—5 მან., ივანე მუსერიძემ—1 მან., ვერა მებურიშვილმა—1 მ. და 20 კაპ., თედორე ფრუიძემ—პუშკინის თხუზულება.

სამზრუნველო კომიტეტის თავჯდომარე

**ც. ახვლედიანის ქალი.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშვალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ექიმს კონსტანტინე მოსეს ძეს მოსეშვილს, რომელმაც ს. გუბის აკაკის სახელობის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს შემოწირა ათი მანეთი.

სამზრუნველოს წევრნი: ვლ. მოსეშვილი, ფაცია მოსეშვილის ქალი, მარიამ კანდელაკის ქალი.

## ჩვენი ფოსტა.

**ლანჩხუთი, ვ. ებრალიძეს.** გრიშა იოსელიანის სამგლოვიარო განცხადება დაიბეჭდა დეპეშაში ორჯერ. მაშინ უქმეების გამო ჩვენი გაზეთი არ გამოსულა. ნახეთ ლანჩხუთში დეპეშა აგენტთან 20 ან 21 მარტისა.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „**კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია**“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

**ს/ს გოკიელოვის—შ-ბი**

**ქუთაისში**

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს**, რომ **გაზეთებში** გამოჩნდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც **ხ. ხრისტოდულიდის** მაუცილებელ საჭიროდ გვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: **დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „**შტემპელი**“, აწერია „**ს/ს. გოკიელოვის შ—ბი**“, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის „**შტემპელი**“ რუსულ-ქართული წარწერით „**ხ. ხრისტოდულიდისის**“ და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის**“, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი**, რომლის ხიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

**თესლის გაყიდვა გძელდება.**